არქივი დაამუშავა თამარ მაისურაძემ.

ირაკლი გამრეკელი

მხატვარ-დეკორატორი ირაკლი ილიას ძე გამრეკელი დაიბადა 1894 წლის 5 მაისს ქ. გორში, მღვდლის ოჯახში. საშუალო განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო, რომელიც დაახლოებით 1916 წელს დაამთავრა. შემდეგ სწავლობდა ჯერ როსტოვის, ხოლო შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სწავლა არ დაუმთავრებია, რადგან ხატვის ნიჭი მოწაფეობის დროსვე აღმოაჩნდა. ხატვამ იმდენად მიიზიდა, რომ უნივერსიტეტში სწავლა შეწყვიტა და სწავლა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელა, რომელიც შემდეგ სამხატვრო აკადემიად გადაკეთდა, თუმცა ეს სასწავლებელიც მას არ დაუმთავრებია.

1922 წელს მოეწყო საქართველოს მხატვართა გამოფენა, რომელშიც მიიღო მონაწილეობა. კ. მარჯანიშვილმა ყურადღება მიაქცია ირაკლი გამრეკელის აკვარელითა და ფანქრით შესრულებულ ნამუშევრებს და მიიწვია მხატვრად შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, პირველ ხანებში დამდგმელ მხატვრად, ხოლო მოგვიანებით კი თეატრის მთავარი მხატვრის თანამდებოაზე, სადაც 20 წელი დაჰყო. გააფორმა 50-ზე მეტი სპექტაკლი, მათ შორის “ანზორ”, “არსენა”, “გიორგი სააკაძე” (ალ. სანშიაშვილი), “თეთნულდი” (შ. დადიანი), “ღალატი” (ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი), “ნაპერწკლიდან” (შ. დადიანი), “რღვევა” (ლავრენიევი), “ბოგდან ხმელნიცკი” (ა. კორნეიჩუკი), “ჰამლეტი”, “ოტელო” (უ. შექსპირი), “ინტირანოს (“ყაჩაღები”) (ფ. შილერის) და სხვა. აგრეთვე რამდენიმე სპექტაკლი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში: “აბესალომ და ეთერი”, “ლატავრა”, “პატარა კახი”, “მზე-ჭაბუკი”, “ლადო კეცხოველი” და სხვა.

ამას გარდა მან მხატვრულად გააფორმა მოსკოვის კამერული თეატრის, ლენინგრადის, სარატოვის, კიევისა და ბაქოს თეატრების სპექტაკლები, აგრეთვე დადგმები ჰქონდა ბათუმის, თელავისა და სხვადასხვა თეატრებშიც. პარალელურად მუშაობდა წიგნების მხატვრულ გაფორმებაზე.

1934 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1936 წელს დაჯილდოვდა “საპატიო ნიშნის” ორდენით.

გარდაიცვალა თბილისში 1943 წლის 10 მაისს.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ირაკლი გამრეკელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1938 წ. 11 იანვარი. ბლანკიანი ფურცელი. ხელით შევსებული. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

ირაკლი გამრეკელის ღია ბარათები

2. ირაკლი გამრეკელის მოკითხვის ღია ბარათი და თამარასადმი.
1917 წ. 16 აგვისტო. როსტოვი. ავტოგრაფი. ფანქარე. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

3. ირაკლი გამრეკელის ღია ბარათი მიშასადმი (მიხეილ ნიკოლოზის ძე გლადკოვი), მატრიკულის ასაღებად, პირადად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
1918 წ. 4 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

4. ირაკლი გამრეკელის პირადი ხასიათის ღია ბარათი დედისადმი.
1918 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 ც.

5. ირაკლი გამრეკელის პირადი ხასიათის ღია ბარათი დედისადმი.
1921 წ. 31 მაისი. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 ც.

6. ირაკლი გამრეკელის მოკითხვის ღია ბარათი და ალექსანდრასადმი.
უთარიღო. სოხუმი. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 ც.

ღია ბარათები ირაკლი გამრეკელისადმი

7. სანდროს (?) ღია ბარათი ირაკლი გამრეკელისადმი, საპასუხო წერილის მიწერასთან დაკავშირებით.
პირი: მიშა (?).
1915 წ. 21 მაისი. ფოთი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც.

8. უცნობი პირის ღია ბარათი ირაკლი გამრეკელისადმი, აივაზოვსკის სურათების შეძენასა და მისთვის გაგზავნასთან დაკავშირებით.
პირი: სანდრო (?), სონია (?), გიგა (?), სამსონი (?).
1917 წ. 28 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 ც.

სხვადასხვა

9. თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის ნაშრომი _ “უკანასკნელი სპექტაკლი”.
[სტატია ეხება ირაკლი გამრეკელის დეკორაციებს გოლდონის პიესაში “საპატარძლო აფიშიდან” (რეჟისორი დოდო ანთაძე). აქვე მოხსენიებულია ირაკლი გამრეკელის მიერ გაფორმებული კომედიური სპექტაკლები: გ. ერსთავის “დავა”, შ. დადიანის “გუშინდელნი”, ა. მაშაშვილის “განგაში”, ჰაზენკლევერის “საქმის კაცი”, ფულდის “ვირის ჩრდილი”, ხოზიკას “ხოჭოების დოღი”.
1957 წ. დეკემბერი. ნაბეჭდი. 12 გვ.

10. საქ. სსრ თეატრალური საზოგადოების საჯარო სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში მიძღვნილი მხატვარ ირაკლი გამრეკელის ხსოვნისადმი.
სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ: დოდო ანთაძე, ბესო ჟღენტი, მიხეილ ჭიაურელი, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, ვ. ბერიძე.
მასალას თან ერთვის ნონო შვანგირაძის მინაწერი ირაკლი გამრეკელის ნამუშევრების ადგილმდებარეობის შესახებ.
1968 წ. 24 დეკემბერი. ნაბეჭდი. 26 გვ. (აკინძული).